

რეფლექსია: დიქტატორის ფუნქციიდან ლიდერობამდე

შერვაშიძე გული, მიქელაძე მადონა
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

რეზიუმე

რეფლექსია (ლათ.-*reflexio*) ფილოსოფიური ტერმინია და სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ამ ტერმინით აღინიშნება ასახვა, გააზრება, დაეჭვება, საკუთარი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, საკუთარი თავის გამოვლენა შემეცნებით და ემოციონალურ-ნებელობით პროცესებში. რეფლექსია მნიშვნელოვანი პირობაა ადამიანის განვითარებისა და სრულყოფისათვის და, რაც მთავარია, რეფლექსიის საშუალებით, მასწავლებელი ერთპიროვნული მმართველის და დიქტატორის ფუნქციას კარგავს და ჯგუფურ აქტივობებში ლიდერის როლში გვევლინება. ცხადია, ამ სიტყვების შემდეგ, რეფლექსიის ბუნების ახსნა უფრო მეტ ინტერესს და მნიშვნელობას იძენს.

რეფლექსიის ფილოსოფიური გაგების სისტემურმა ხასიათმა განსაკუთრებით გაამდიდრა შემეცნების თეორია და ხელი შეუწყო ამ ცნების პედაგოგიკაში დანერგვას, მით უმეტეს, რომ ჭეშმარიტი პედაგოგიური საქმიანობა ყოველთვის ატარებდა და ატარებს რეფლექსურ ხასიათს.

საკვანძო სიტყვები: სწავლება, გამოცდილება, გააზრება, რეფლექსია, მიზანდასახულობა.

რეფლექსია (ლათინურად - *reflexio*) აღნიშნავს „ასახვას“, „უკან მიბრუნებას“, გააზრებას, საკუთარ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, საკუთარი თავის გამოვლენას შემეცნებით და ემოციონალურ-ნებელობით პროცესში. რეფლექსია მნიშვნელოვანი პირობაა ადამიანის განვითარებისა და სრულყოფისათვის.

რეფლექსიის გაგება ფილოსოფიური აზროვნების წიაღში წარმოიშვა და თანდათანობით მისი საგნის სწავლამ სისტემური ხასიათი მიიღო, რამაც ხელი შეუწყო ფილოსოფიის იმ მიმართულების განვითარებას, რასაც შემეცნების თეორია ჰქვია.

პედაგოგიკაში რეფლექსიის ცნება არც თუ დიდი ხანია გაჩნდა, მაგრამ ჭეშმარიტი პედაგოგიური საქმიანობა ყოველთვის ატარებდა და ატარებს რეფლექსურ ხასიათს.

რეფლექსია ფილოსოფიური აზროვნების ტიპია, რომელიც მიმართულია საკუთარი წინასწარი ვარაუდების გააზრებისა და დაფუძნებისაკენ და შემეცნების პროცესის საკუთარი თავისკენ მიმართვას გულისხმობს, რითაც ფილოსოფიაში ფილოსოფოსობის ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენს, ხოლო პედაგოგიკაში - სწავლება-სწავლის პროცესის გააქტიურების იარაღს.

როგორც სოციალური პრობლემა, რეფლექსია განხილვის საგნად იქცა ჯერ კიდევ ანტიკურ ფილოსოფიაში, როცა სოკრატისეული პრინციპი „შეიცან თავი შენი“ საფუძვლად დაედო ადამიანის ფილოსოფიური გაგების პრობლემას, ხოლო პლატონი და არისტოტელე აზროვნებას და რეფლექსიას განმარტავდნენ, როგორც ღვთიურ გონებას; შუა საუკუნეებში რეფლექსია განიხილებოდა, როგორც ღმერთის მიერ სამყაროს შექმნა „გონიერი ენერჯის“ საშუალებით.

რენე დეკარტის შემდეგ რეფლექსიამ ფილოსოფიის ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპის სტატუსი მიიღო და ამ კონტექსტით იგი წარმოგვიდგა, როგორც საგნობრივი განხილვიდან თვით შემეცნებისაკენ სვლა - ანუ თვითრეფლექსია გამოიკვეთა რეფლექსიისადმი, როგორც ადამიანის თვითშემეცნებისადმი თავისუფალი დამოკიდებულების მნიშვნელობა და ადამიანი გამოცხადდა თავისუფალი და ავტონომიური აზროვნების სუბიექტად, რის გარშემოც შემოკრებილია მთელი სამყარო. როდესაც ზრდასრული ადამიანი რაღაცას იმეცნებს და ამავდროულად აღიქვამს, რომ ეს მას ადრე არასოდეს გაუგია (უგრძვნია), ამ მეორე აღქმას მე ვუწოდებ რეფლექსიას, - წერს კანტი.

კანტის მიხედვით, რეფლექსიას საქმე არ აქვს საგნებთან. იგი სულის მდგომარეობაა, რომელშიც ვცდილობთ ვიპოვოთ სუბიექტური პირობები გაგებისათვის... რეფლექსია გააზრებული დამოკიდებულებაა შემეცნების წყაროებზე მოცემულ წარმოდგენებთან.

შემეცნება რეფლექსურად ითვლება, როცა სუბიექტი „მე“-ს უგზავნის შეცნობილ საკუთარ თავს და თვით საკუთარ ისტორიას. რეფლექსური შემეცნება საკუთარი თავის შეცნობის ფუნქციის შემცველია და წარსულისა და თანამედროვეობის სინთეზის საფუძველზეა შესაძლებელი. გააზრებული „მე“ განსხვავდება იმ „მე“-საგან, თავის თავს რომ განჭურეტს... მე, როგორც ინტელიგენტი და მოაზროვნე სუბიექტი, ჩემს თავს შევიმეცნებ, როგორც მოაზრებულ ობიექტს..., როგორც ჩემს თავს ვევიწინები... ჩვენს საკუთარ სუბიექტს შევიცნობ როგორც მხოლოდ მოვლენის და არა იმის მიხედვით, რაც არის თავისუფალი“ - წერს კანტი [1].

„რეფლექსია არის ფიქრი ფიქრზე ან ემოციის ცნობიერება..... ვთქვათ აზრი თვითცნობიერია იმ თვალსაზრისით, რომ მე არა მხოლოდ მაქვს აზრი, არამედ გამაჩნია ცნობიერება ამ აზრის შესახებ. ეს პროცედურა ფილოსოფიაში რეფლექსურ პროცედურად იწოდება“ - წერს მერაბ მამარდაშვილი [2].

მოსწავლე იმით განსხვავდება მასწავლებლისაგან, რომ საგნები, რომლის შესახებ იცის მასწავლებელმა, მოსწავლემ არ იცის; მოსწავლეს ნაკლებად შეუძლია უცნობი საგნების გაგება, რადგანაც არ გააჩნია გაგებისათვის ინსტრუმენტი. გაგებისათვის ძალიან ბევრი შრომაა საჭირო. არადა, ადამიანი უმეტესწილად ზარმაცია, სიზარმაცე ხელს უშლის ადამიანს იყოს გამგები, პატივი სცეს საკუთარ თავს. მასწავლებელი ინდივიდუალურად უნდა მიუდგეს თითოეულ ბავშვს. მართალია ბავშვები კლასებად არიან დაყოფილი, მაგრამ მათ შორის ორი იდენტური ბავშვიც არ მოიძებნება. დიუის აზრით პედაგოგმა სკოლაში ისეთი გარემო უნდა შექმნას, რომ თითოეული ინდივიდისა და საგნის არსის ცოდნის საფუძველზე შეარჩიოს სასწავლო აქტივობები და საქმიანობა, რაც მოსწავლეებში გაგების უნარის ზრდას გამოიწვევს. „ეს პირობა დაკმაყოფილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პედაგოგი ხედავს სწავლებისა და სწავლის პროცესს, როგორც გამოცდილებით რეკონსტრუქციის უწყვეტ პროცესს. ამ პირობის დაკმაყოფილება შესაძლებელია, თუ პედაგოგი იხედება წინ, შორეულ მომავალში და თითოეულ აწმყო გამოცდილებას აღიქვამს, როგორც მამოძრავებელ ძალას, რომელიც მომავალი გამოცდილების ბუნებას განაპირობებს [3].

დიუისათვის რეფლექსია არის აზროვნების სახე, რომელიც წარმოსახვით აზროვნებას ემორჩილება და ოთხ ძირითად კრიტერიუმს მოიცავს: პირველი, მნიშვნელობისა და მიზნის უწყვეტი აგება, რომელსაც შემსწავლელი გადაჰყავს ერთი

გამოცდილებიდან მეორეზე, გამოცდილებებსა და იდეებს შორის კავშირების უფრო ღრმა და საფუძვლიანი გაგებით. იგი ცოდნის გაღრმავებასა და გაგებას უზრუნველყოფს, უწყვეტობის საშუალებით“[4].

დიუი ნამდვილი განათლების წყაროდ გამოცდილებას მიიჩნევს და იქვე მიუთითებს, რომ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა სახის გამოცდილება შეიძლება მივიჩნიოთ ჭეშმარიტი ან თანაბარი საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობის მქონედ. არც გამოცდილებისა და განათლების გაიგივებაა ერთმანეთთან შესაძლებელი, ვინაიდან, ზოგჯერ გამოცდილებით, შესაძლოა საპირისპირო შედეგი მივიღოთ. დიუი თვლის, რომ ნებისმიერი გამოცდილება, „რომელიც ამახინჯებს ან აფერხებს გამოცდილების შემდგომ ზრდას, შეიძლება ჩათვალოს არასწორი განათლების წყაროდ. ზოგიერთმა გამოცდილებამ, შესაძლოა ინდივიდში ერთგვარი მოუქნელობა, სიტლანქე გამოიწვიოს, გახდეს ინდეფერენტულობისა და მოვლენებზე რეაგირების უნარის დაქვეითების მიზეზი[3].

დიუის მიხედვით ნებისმიერი გამოცდილების ასახვას ორი ძირითადი ასპექტი განსაზღვრავს. პირველი, უშუალო განცდაა სიამოვნება-უსიამოვნების გამოცდილებასთან მიმართებაში, მეორე ასპექტი კი გულისხმობს მის გავლენას უფრო გვიანდელ გამოცდილებაზე. დიუი პირველ ასპექტს თვალსაჩინოდ და მარტივად თვლის, ხოლო, რაც შეხება შედეგს, მისი უშუალო აღქმა შეუძლებელია, რაც პედაგოგის წინაშე აყენებს შემდეგ ამოცანას: ისეთი გამოცდილებები შექმნას, რომელიც კი არ ჩაახშობს მოსწავლის ინიციატივას, არამედ პირიქით, აქტიურად ჩააბამს საქმიანობაში და წახალისებს კიდევ. დიუი მიიჩნევს, რომ ასეთი გამოცდილება მნიშვნელოვანია, ვიდრე უბრალოდ სიამოვნების მიღება, ვინაიდან ის უზრუნველყოფს სასურველი სამომავლო გამოცდილების არსებობას.

დღეს ჩვენ ძალიან ბევრს ვფიქრობთ და ვსაუბრობთ სასწავლო პროცესის სასიამოვნოდ გადაქცევის თაობაზე, ზოგჯერ ყურადღების მიღმა გვრჩება შედეგი, რომელიც ხშირად ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეებში შემოქმედებითობას, სამომავლო გამოცდილებებს, რაც საგანმანათლებლო სივრცეში პრობლემების არსებობას უწყობს ხელს. დიუის მიხედვით კი „ყოველი გამოცდილება არსებობას უნდა განაგრძობდეს შემდგომ გამოცდილებაში და გამოცდილებაზე დაფუძნებული განათლების ცენტრალური პრობლემაა ისეთი აწმყო გამოცდილების შერჩევა, რომლებიც ნაყოფიერად და შემოქმედებითად იარსებებენ მომდევნო გამოცდილებაში“ [3].

განათლების თეორეტიკოსების მიხედვით, რეფლექსიის მეორე კრიტერიუმია გააზრება, დისციპლინა და სიზუსტე. დიუი მიიჩნევს, რომ საქმე ეხება განათლების წარმართვის პრაქტიკულ გეგმას, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს ნათელი წარმოდგენებით იმის თაობაზე, რომ „განათლება გამოცდილების განვითარებაა“. სწავლების შინაარსი, სწავლების მეთოდები და დისციპლინა, სკოლის მატერიალური აღჭურვა, სოციალური ორგანიზაციის გეგმა გამოცდილების შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს.

დიუი სიამოვნებით აღიარებს, რომ ახალი განათლება, თავისი საფუძვლებით და პრინციპებით ძველთან შედარებით მარტივია. ის ჰარმონიაშია ზრდისა და განვითარების პრინციპებთან. ასევე, აღნიშნავს, რომ საგნებისა და მეთოდების ძველ კომპლექტსა და ორგანიზაციაში ბევრი რამ ხელოვნური იყო და უსარგებლო სირთულეებამდე მივყავდით. ცხადია, დიუის კარგად აქვს გააზრებული, რომ

გაკვალიანი გზებით სიარული უფრო იოლია, ვიდრე ახალი ხედვისა და კურსის არჩევის შემდეგ იმის ჩამოყალიბება, პრაქტიკულად რა იგულისხმება ამ ახალ ხედვაში.

მესამე კრიტერიუმის თანახმად „რეფლექსია არის თანამონაწილეობითი. ის წარმოგვიდგება ხანგრძლივი პრაქტიკისა და დაუზარელი შრომის საფუძველზე საზოგადოებაში და წინ უძღვის საერთო მიზნების მიღწევისაკენ სწრაფვას“ [4].

თუ გავითვალისწინებთ, რომ განათლება სოციალური პროცესია, ე.ი. ინდივიდები (მოსწავლეები) ერთიანდებიან ჯგუფებად, ხოლო მასწავლებელს ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა - წარმართოს კომუნიკაციები, ურთიერთქმედებები, ცხადია, მასწავლებელს არ უნდა ჩამოერთვას წამყვანი როლი იმ საზოგადოების საქმიანობის წარმართვაში, რომლის წევრიცაა. თუმცა დიუის აზრით, როდესაც მოსწავლეები მოიაზრებოდნენ ფორმალურ კლასად და არა სოციალურ ჯგუფად, მასწავლებელი აუცილებლად მოქმედებდა გარედან და არა როგორც იმ ურთიერთგაცვლის პროცესების მონაწილე და წარმმართველი, რომელშიც ყველას თავისი წილი ჰქონდა. როდესაც განათლება დაფუძნებულია გამოცდილებაზე და საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი გამოცდილება მიჩნეულია სოციალურ პროცესად, სიტუაცია რადიკალურად იცვლება. მასწავლებელი კარგავს გარეშე ზედამხედველის ან მოკარნახის როლს და ჯგუფური საქმიანობის ლიდერის ფუნქციას იძენს [3].

რეფლექსია საშუალებაა:

- პედაგოგმა გაანალიზოს, აკონტროლოს და შეცვალოს საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკა, გამოიყენოს სწავლებისადმი ანალიტიკური მიდგომა;
- ღრმად ჩაწვდეს სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტებს, რომელშიც მუშაობს, იმის გააზრებით, რომ სასწავლო ამოცანების კორექტირება აუცილებელია ამ კონტექსტების გათვალისწინებით;
- წავახალისოთ მომავალი მასწავლებლები თვითგანვითარებისაკენ და თვითშემოქმედებისკენ მისწრაფებით დიდი პასუხისმგებლობით საკუთარი პროფესიული ზრდისკენ;
- დავეხმაროთ მომავალ პედაგოგებს გამოიმუშაონ სწავლების საკუთარი თეორია, სასწავლო პრაქტიკის საბაზო პრინციპების საკუთარი გაგება;
- შევაიარალოთ მომავალი პედაგოგები აუცილებელი უნარით იმისთვის, რომ მეტი ინიციატივა გამოიჩინონ ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების და განათლების სისტემის განვითარების პერსპექტივებისადმი;

რეფლექსია მჭიდროდ უკავშირდება განათლების სისტემის განვითარებას. სტუდენტი სწავლობს წინასწარ განჭვრიტოს მომავალი საქმიანობა, გაარჩოს სიტუაციები როდის და რატომ უნდა შეცვალოს პოზიცია და დაიკავოს ახალი, როგორც უკვე შესრულებული სამუშაოს, ასევე მომავლის პროექტირების დროს. ეს ის სამუშაოა, რასაც „რეფლექსური გამოსვლა“ ჰქვია, ხოლო პროცესში მიღებულ ცოდნას - „რეფლექსური ცოდნა“. ცხადია, რეფლექსია, როგორც განათლების განვითარების საშუალება ერთობ მნიშვნელოვანია, რადგანაც ადგილს უთმობს პროექტს, რომელიც კარნახობს განათლების მოდელს და პროფესიული კადრების მომზადებას. საპროექტო-შემოქმედებით კონტექსტში სწორედ რეფლექსური აზროვნება გამოდის წინა პლანზე და მისი ფორმირება და განვითარება გადაიქცევა მიზნად განათლების ყველა საფეხურზე.

რეფლექსური აზროვნების საფუძველს წარმოადგენს გამოცდილების ანალიზი, როგორც პრაქტიკული, ასევე აზროვნებითი მოქმედებისათვის, ხედვის საფუძველი, გაგება, პრობლემის კომპლექსური გააზრება.

სწორედ რეფლექსურ გონებას შეუძლია გადალახოს განხეთქილება ცოდნასა და გაუთვალისწინებელ პირობებში მის გამოყენებას შორის.

რეფლექსიის ობიექტად და მის შედეგებად შეიძლება იქცეს მისაღწევი მიზნების სტრატეგია, რის შედეგადაც მასწავლებელი გააზრებს სწავლების პროცესის ხასიათს და რეფლექსიის გამოყენება იძლევა იმის გარანტიას, რომ მომავალი მასწავლებელი შეძლებს იაზროვნოს სწავლების პროცესზე იმ მიზნით, რომ გახდეს მაღალი პროფესიონალი. ამით მასწავლებელი იძენს ახალ ცოდნას სასწავლო ტექნოლოგიებში, განავითარებს რეფლექსურ და პროფესიულ-დისკურსიურ გონებას და წარმოდგენილი ჰიპოტეზების კრიტიკულად გააზრების უნარს, აღწევს თვითგანვითარებას.

რეფლექსიის გარეშე არაა სწავლება. ადამიანმა შეიძლება თავისი ქმედება ასჯერ გაიმეოროს, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერაფერი ისწავლოს. ის, ვინც მექანიკურად იმეორებს - არ სწავლობს. ფრაზა - „განმეორება - ცოდნის დედა“ ხშირად გამოიყენება დღესაც. თუმცა მექანიკური დასწავლა რეფლექსიის გარეშე არ იძლევა შედეგს.

ტრადიციულად პედაგოგები სირთულეებს აწყდებიან გაკვეთილზე რეფლექსიის ორგანიზებისას, რადგან მოსწავლეებს უჭირთ ხშირად იმ მიზეზების ჩამოყალიბება, რამაც ისინი გარკვეულ შედეგამდე მიიყვანეს ან პრობლემის წინაშე დააყენეს. ისინი ვერ ხსნიან თავიანთი საქმიანობის არსს. მათ დასახმარებლად პედაგოგებმა უნდა გამოიყენონ შემდეგი კითხვები:

- რა შედეგებს მიაღწიეთ, რა გაიგეთ, რა ისწავლეთ?
- განსაკუთრებით რომელი დავალებები მოგეწონათ და რატომ?
- როგორ შეასრულეთ დავალება, რა ხერხები გამოიყენეთ? რას გრძნობდით დავალების შესრულებისას?
- რა სირთულეები გქონდათ დავალების შესრულებისას და როგორ გადალახეთ ისინი?
- რა შენიშვნები და წინადადებები გაქვთ სამომავლოდ (საკუთარი თავის, თანატოლების, პედაგოგების მიმართ)?

ეს კითხვები შესაძლებელია დაკონკრეტდეს და მიუახლოვდეს შესასწავლ თემას.

მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ფაქტორი; პედაგოგმა უნდა შექმნას ისეთი გარემო, რომ მოსწავლეებს მოუწოდებდეს იმსჯელონ და გაცენ პასუხი ამ კითხვებს.

რეფლექსია მჭიდროდაა კავშირში მიზანდასახულობასთან. მიზნის დასახვა, მიღწევა და რეფლექსია იწვევს ახალი მიზნებისაკენ სწრაფვას. რეფლექსია ასეთ შემთხვევაში არამარტო შედეგია, არამედ ახალი სასტარტო რგოლია მომავალი მიზნების მისაღწევად. მაშასადამე მოსწავლეები თანამშრომლობენ მასწავლებლებთან და თანატოლებთან საკუთარი მიზნების შექმნის პროცესში, ისევე როგორც იმის გარკვევაში თუ რას ან როგორ სწავლობენ. დიუი რუკის მეტაფორას იყენებდა ამ მოსაზრების გატარების მიზნით: „რუკა, შინაარსი, წინა გამოცდილების წესრიგში მოყვანა და სწორად გააზრება, შემდგომი გამოცდილების გზამკვლევის წარმოადგენს, ის აჩვენებს მიმართულებას, ეხმარება კონტროლის განხორციელებაში, ამაო მცდელობების შემცირების ხარჯზე“, მაგრამ „რუკა ვერ დაიკავებს მოგზაურობის ადგილს“ [3]. სწორედ ასეთ პროცესში ჩართული მასწავლებელი ასრულებს ლიდერის ფუნქციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კანტი ი. წმინდა გონების კრიტიკა. თბილისი, 1979;
2. მამარდაშვილი მ. აზრები. ქუთაისი, 2003;
3. დიუი ჯ. განათლება და გამოცდილება/შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2006;
4. დიმიტრიადისი გ., კამბერელისი ჯ. თეორია განათლებისათვის. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010;

Article received: 2011-12-26